საქართველოს

საეკლესიო ისტორია

უედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ

გამოცემა

„მწყემსი"-ს რედაქციისა.

ტფილისი
ეკვთიმე ხელაძის სტამბა
1886 წ.

გ) აღდგომის მეშვიდე კვირიაკეს ოთხშაბათს წმ. დოდოსი, დავით გარესჯელის მოწაფისა.

დ) იმავე კვირიაკეს ხუთშაბათსა წმ. მამა დავით გარესჯელისა.

ამას გარდა ძველად დადგენილი იყო დღესასწაული მაიუმის (მცირე აზიაში) ეპისკოპოზის, ქართველთ მეფის ვარაზბაქარის ძის პეტრესათვის 2 ქრისტეშობისთვეს, მაგრამ მე XVIII საუკ. იგი პეტრე გამორიცხულ იქმნა ქართველთა წმიდანთაგან. 22 თებერვალს იყო დღესასწაული 9 ძმათა კოლაელთა, წამებულთა მტკვრის პირზედ.

სარჩევი

თავი I. ქრისტეს მოციქულნი.—წმ. სულის მოფენა.—არსდება ეკკლესია.—მოციქულების შემოსვლა საქართველოში, რომლის განათლება წილად ხვდა ღვთის-მშობელსა.—მიჩინება ქალწულისა.—დასრულება მოციქულთა მოძღვრებისა.—ქრისტეს მედროვე საქართველოს მეფე.—ქრისტიანობის დევნა საქართველოში. I - 9

თავი II. წმიდა ნინო.—ჯვარი ვაზისა.—ნინო შემოდის საქართველოში.—კერპ-თაყვანის მცემლობა სამსოფლიოში და საქართველოში.—ღმერთნი ქართველთა—ქრისტიანობის გამარჯვება.—ამ დროის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოისა და მოქცევა ქართველთ ერისა. 9 — 19

თავი III. პირველი ეკკლესიის აგება საქართველოში.—ჯვრების დადგმა.—მოქცევა მთიულთა, კახელთა და სიკვდილი ნინოსი.—მირიანის იერუსალიმში გამგზავრება და აგება იერუსალიმის ჯვრის ეკკლესიისა და სხვათაცა მონასტერთა აგება.—ქრისტიანობის გავრცელება კლარჯეთ-ჯავახეთში. 19 — 27

თავი IV. სპარსელთ ჴსურით დაამხონ ქრისტიანობა სა-

ქართველობაში. — ბერძენნიც მტრობენ ქართველთა.— მარტხდება სპარსელთ ჯარი და საქართველოში ქრისტიანობა ისევ მყარდება.—ერეტიკოსი მობიდანი და განდევნა მისი.—სპარსელნი ისევ აუშალნენ ქართველთა.—არიოზი.—ბერგელი და მესამე მსოფლიო კრებანი. 27—33

თავი V. კასტანგ მეფე ანთავისუფლებს საქართველოს და მის ეკლესიას გარეშე ხალხთა დამოკიდებულებისა და გავლენისაგან.—ეკლესიას ენიჭება „ავტოკეფალობა“.—ბერგელი მოწამე რაყდენი და შუშანიკი. 33—42

თავი VI. ბიზანტის ტაძარი.—მოსული 13-თა მამათა ასურეთით.—სად და როგორ იღვაწეს მათ.— ბრძოლა წინააღმდეგ მწვალებლობისა.—დაბადება მაჭმადისა.—შემოსვა არაბთა საქართველოში.—წამება მეფის არჩილისა. 42—52

თავი VII. გამეფება ბაგრატიონთა-—წამება ესტატე მცხეთელისა და ბოსი.—გაძლიერება ქადაგებისა საქართველოში.—სარკინოზნი იპყრობენ მრავალ ქვეყნებს.—საქართველოს ერთობა ირღვევა. 52—58

თავი VIII. მტერნი იპყრობენ საქართველოს.—სტოა ბრძოლა.—ეკლესია ქრისტესი იყოფება ორ ეკლესიად.—აღმოჩენა „იკონიის ღვთის-მშობლის ხატისა“.—დაფუძნება ქართველთ მონასტრისა ათონს (საბერძნეთს). 58—63

თავი IX. თორნიკე ამარცხებს მაამბოხეთ და კონსტანტინეპოლს ანთავისუფლებს განსაცდელისაგან.—

ქართველნი მთაწმინდაზე და მრავალგან აშენებენ ტაძრებს და მონასტრებს.—მთარგმნელი საღმთო და საეკლესიოთოსო წიგნებისა: იოანე, კვთაძი, არსენი და სხ. 63—69

თავი X. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა.—იოანე მღვდელ-მონაზონი. — ეფრემ მცირე.—არსენი იყალთოელი.—ტაძარნი ბედიისა, სოფლისა, ჭეთისისა, ხახულისა, გელათისა და სხ.—სკოლანი. 69—75

თავი XI. საქართველოს განთავისუფლება სარაცინთაგან.—ჯვაროსნების ომი.—ქართველნი ჭეშველიან ჯვაროსანთა.— მოღვაწეობა მეფეთა: ბაგრატ IV-სა და დავით III-ის აღმაშენებელისა.—ძეგლის წერა. 75—87

თავი XII. თამარის მოღვაწეობა.—აშენება კარძიის მონასტრისა და სხ. ტაძართა.—ცნობანი ქართველთ ტაძარ-მონასტრებზე იერუსალიმს, სინას, საბერძნეთს და სხ.—დაარსება ტრაპეზუნტის იმპერიისა. 87—98

თავი XIII. საქართველოს ათხრება სპარსთა და მონგოლთაგან.—წამება: შალვასი, ათთა—ბეკრთა მოწამეთა და მეფე დიმიტრი თავდადებულისა.—გადაწვა ქვაბთა სკვის მონასტრისა.—ფრანგობის მქადაგებელნი საქართველოში.—მოღვაწეობა მეფის გიორგი ბრწყინვალისა, ალექსანდრესი და დიმიტრისი.—განაწილება საქართველოსი სამ სამეფოდ და ხუთ საფამოვროდ.—დამხობა ბიზანტიის და ტრაპეზუნტის იმპერიათა.— საათაბაგოს გამგებლად ინიშნება გამაჰმადიანებული უკარუკარე თუაშა. 98—109

თავი XIV. ქართველნი ჰშველიან დევნულთ ბერძენთ. — არსდება ახტალას ბერძენთ საეპისკოპოსო. — სპარს ოსმალნი იყოფენ საქართველოს. — მაჰმადიანობა ფეხს იდგამს მთის ხალხში და საქართველოს ზოგი-ერთ კუთხეებში. — ამისთანა დროს ქრისტიანობას უჩნდებიან თვისნი სვეტნი. — წამება: გარესჯის მოღვაწეთა, მეფე ლუარსაბისა, ქეთევან დედოფლისა და სხვათა. 109—120

თავი XV. სპარსელნი შემოდიან საქართველოში, იჭერენ კახეთს და სახლდებიან აქ 80,000 სულამდე. — მტარვალობა სპარსთა. — ბიძინა, ელიზბარ, შალვა და სხვა მოღვაწენი. — მოგზაურობა საქართველოში პატრიარქების პაისისა და დოსითეოზისა. — ქართველნი იერუსალიმის ტაძრებს სწირავენ 150,000 პიასტრამდე (პიასტრი ოთხი გროშია) 120—126

თავი XVI. მოღვაწეობა ვახტანგ VI-სა. — ტიპოგრაფიის დაარსება და ბეჭდვა მრავალ გვარ წიგნებისა. — დავა სპარსთა და ოსმალთ შორის საქართველოს ფლობისათვის. — ქრისტიანობა საშინელ მდგომარეობაში. — თეიმურაზ II მშვიდობიანობას ამყარებს — იმერეთიდგან იდევნებიან ოსმალნი. — ქუთაისში ტიპოგრაფიის დაფუძნება. — თელავსა და თბილისს არსდება სემინარიანი. — საქართველოს მოღვაწენი: ანტონ I, გაიოზი და სხვანი. — ქართველთ ბერნი აშენებენ ტაძრებს დარუბანდში, აშტარხანს და ყიზლარს, სადაც დააარსეს სასწავლებელიცა. 126—138

თავი XVII. საქართველოს მდგომარეობა მე XVIII საუკ. დასასრულს. — ქრისტიანობა ამ დროს. —

საქართველოს შეერთება რუსეთთან. — გავრცელება ქრისტიანობისა საინგილოში, სამცხე — საათაბაგოში. — უკანასკნელი კათოლიკოზი საქართველოისა. — სია ყველა კათოლიკოზთა. — ნინოს ვაზის ჯვარი. — პირველი ეგზარხოსი. — დაყოფა საქართველოისა ახალ ეპარქიებად. 138—145

დამატება. მირონის კურთხევა. — სასახლის წესნი. — ხარისხნი სასულიერო წოდებისა. — ღირსება სასულიერო პირთა. — საეკლესიო გალობა. — კათოლიკოზ-პატრიარქთა შესამოსელი. — ქორონიკონი. — დღესასწაულნი წმიდანთათვის. 145—152

VI

ᲓᲐᲩᲘᲡ შემდეგ 514 წ.—542 წ. იმეფეს ბაკურ II და ფარსმან V-მ. ამავე დროს საკათოლიკოსო ტახტზედ ისხდენ ერთი მეორის შემდეგ სამოელი, Თაე-ფეჩაგ და ჩიგირმან. ამათ დროს დიდი ბრძოლა ასტყდა სპარსთა და ბიზანტიელთ შორის ლაზიკის დასაკუთრებაზე. სპარსთა მეფე ხოსრო ნუშირვან (531 — 579) დიდის ჯარით შამოვიდა საქართველოში, გადავიდა იმერეთში და აიღო ციხენი, რომლებშიაც იდგნენ ბერძენთ ჯარნი: პეტრა, ბიჭვინტა Დიოსკური, და ბერძენნიც განდევნა. მაგრამ ბერძენთ იმპერატორმა დიდი ჯარი მოაშველა ქართველებს, რომელთაც ამოჟლიტდეს 12,000 სპარსელნი და სრულიად განდევნეს საქართველოდგან. ამნაირად სპარსთა წადილი, რომ ჩვენ ქვეყანაში აღმოეფხერათ ქრისტიანობა და მის წილ დაენერგათ ცეცხლ-თაყვანის მცემლობა, გაცრუვდა.

მძლავრის იმპერატორის იუსტიანიანეს მფარველობაში საქართველო თავისუფალი შეიქმნა და ქრისტიანობა უფრორე დაინერგა საქართველოში. (იმერეთ, სამეგრელო, აჭარა—ლაზისტანი) იუსტინიანეს, გავლენის ქვეშ იყვნენ, რადგან უმეტესი ნაწილი ამ ქვეყნებისა ეპყრო მას და აქ ავრცელებდა ქრისტია-

ნობას. მან აღაშენა დიდებული ბიჭვინტის ტაძარი და რამდენიმე სხვა ეკკლესიანი სამეგრელოში (ამ ამბებზე დაწვრილებით მოგვითხრობენ სტეფანე ბიზანტიელი და პროკოპი, მწიგნობართ უხუცესი იუსტინიანეს სარდლისა ველისარისა).

იუსტინიანესავე დროს, შემდეგ ფარსმან მე V-სა, მეფობდა ფარსმან მე VI, კაცი კეთილ-გონიერი და ღვთის-მოყვარე. ამან ბევრი იზრუნა ქრისტიანობისათვის და მრავალი ტაძრები ააგო. იგი ეცადა აგრეთვე, რომ საქართველოს ეკკლესია სრულიად გაენთავისუფლებინა გარეშე ეკკლესიათა გავლენისაგან. იმპერატორის ნება-ყოფლობით დაწესდა დანიშნა საქართველოს კათოლიკოსთა ქართველთაგან (549—ქართლ. ცხოვ.) და არღარა მოყვანა საბერძეთიდამ. ამია გარდა ღირს შესანიშნავია ის ფაკტი, რომ ფარსმანისავე დროს [1]) მოვიდნენ საქართველოში 13 მამანი ძუა-მდინარის ქვეყნიდამ (კაპადოკიიდამ). ესი მათი სახელები: ა, იოანე, ბ, დავით, გ, სტეფანე, დ, იოსებ, ე, ზენონ, ვ, ანტონი, ზ, ისე, Თ, თათე, თ, შიო, ი, ისიდო-

---

[1]) ქართ.—ცხოვ. თქმით მოსვლა 13-თა წმ. მამათა ეკუთვნის ფარსმან VI დროს (555—570), ხოლო ამის წინააღმდეგ ზოგიერთი ა ძველთა მოჰყავთ შემდეგი საბუთები: 1, თუ ეს 13 მამანი იყვნენ ოწაფენი ᲛᲬᲘᲛᲝᲜ მეᲥᲕეტისა (სვიმონ იშკა 390 წ. და გარდაცვალა 460 წ.), მაშინ ᲛᲝᲔᲚᲘ საუკ. შემდეგ ველარ მოვიდოდნენ საქართველოში; 2, წმ. ანტონის მარტო-მყოფის ტაძრის აშენებას აწერენ (სიგელი იმამყული ხანისა და დასა მისისა მარიამისა) მამა ანტონს და ვახტანგ გორგასლანს. ამისადამე მამათა მოსვლას ჰგონებენ ვახტანგ მეფის დროს (446—499) ჩვენი წყაროების მოწმობითაც ვახტანგის დროს მოსულნი ᲐᲛᲐᲜᲘ ᲡᲔᲯᲒ სხვა პირნი ყოფილან და არა ზემორე ხსენებულნი.

რე, ია, აბიბოს, იბ, მიხეილ (მიქელ), იგ, პიროს. მეთოთხმეტე იყო იოანეს დიაკონი ილია.

ეს მამანი, მოწაფენი სვიმეონ მესვეტისა, იყვნენ ქართველნი [1]) და კეთილად მიღებულ იქმნენ ქართველთაგან. დაიწყეს მოღვაწეობა, ქადაგება და ქრისტიანობის მოფენა ქართლ-კახეთში.

მოგვყავს რაოდენიმე ცნობანი მათზე:

ა) იოანე წინამძღვარი ყველა მამათა დაესახლა მცხეთის ახლოს ზედაძენის მთაზედ, სადაც დაანგრია და პირქვე დასცა სამლოცველონი კერპთ-მსახურთანი და მაღალნიჭიერითა თვისითა ქადაგებითა და მადლიანისა სწავლითა და სამწაულებითა მოიზიდა მთელი გარემო მოსახლე ქრისტიანეთ ყურადღება. იოანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკკლესია სადგურად თვისად და დაფლულ არს მუნვე.

„დედა-ქალაქი ქართველთა წმინდა იქმნა სწავლითა შენითა, წმ. მამაო იოანნე, მამათა თვალო და ალიწიე მთად ზედაძნელისა, რომელიცა სთნდა სულსა შენსა, არქვ

---

[1]) „მოვიდნენ 13 მამანი შუა-მდინარიდამ. მიეგება ევლავიოს კათოლიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქ ა რ თ უ ლ ვ ა ს უ ხ-უ გ ე ს“ (ქართ. ცხოვ.). ზ. ჭუბინაშვილი მეცნიერულს გამოკვლევაზე ამყარებს, რომ კაპადოკია (ჭანეთი) სულ მთლად ძველი დროიდგანვე იყო დასახლებული ქართველებით. ამ ქვეყნის გეოგრაფიულნი სახელ-წოდებანი ხშირად ეხლაც ქართულნი არიან, ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება, მართებლობა და თვით-კერპთ-მსახურებაც ჰქონდათ ისრეთი, როგორც ძველს საქართველოს მოსახლეთა ანუ ქართველთა. (სტრაბონი, წიგნი XV, გვ. 188). თვით სტრაბონი მისივე თქმით ყოფილა კაპადოკიელი და არა გვაქვს საფუძველი, რომ მის მოწმობას კაპადოკიელების ქართველობაზე არ

მოწაფეთა შენთა წარვედით და განამტკიცებდით ქრისტეს სამწყსოთა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქვეყანა ესე ქართლისა“. დღეობა წმიდანის 7 მაისსა.

ბ) აბიბოს გამწესებულ იქმნა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრაზე. ნეკრესი მდებარებს ერთსა მწვერვალსა ზედა დიდი კავკასიონის წიაღსა შინა. „4 მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი იყო (ნეკრესი); შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკკლესია დიდ-შენი, გუნბანთიანი, აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, 13 მამათაგანი და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მხრისა დიდოთურთ; ამან (აბიბოს) მოაქციენა უმრავლესნი მთიულნი, ესევ ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი და დაფლული არს სამთავროს“ (გეოგრ. ვახუშ. გვ. 314). ქურუმთა უფროსის სურვილისამებრ აბიბოსი საიდუმლოდ შეპყრობილ, ქვით ცემულ, ნადირთა და ფრინველთა საწიწკნავად გადაგდებულ იქმნა სოფ. რეხში (30 ვ. მანძილზე ქ. გორიდამ). გვამი აბიბოსი დასაფლავებულ იქმნა იქვე რეხის ახლო მონასტერში, მაგრამ შემდეგში მეფე სტეფანოზისაგან ამოღებულ და მცხეთის სამთავრო ტაძარში დასაფლავებულ იქმნა. საქართველოს ეკკლესია მის სახსოვრად დღესასწაულობს 29 ნოემბერსა.

დარწმუნოთ. თვით წმ. გიორგი და ნათესავი მისი წმ. ნინო ქართველები—კაპადოკიელები იყვნენ და იცოდნენ ქართული ენაც. ეჭვი არ არის, რომ 13 წ. მამანი შუა-მდინარიდამ (კაპადოკიიდამ) შემოსულნი საქართველოს შუა-გულში, იყვნენ აგრეთვე ქართველნი და კათოლიკოზის პირველ მოკითხვაზედვე ქართულის ენით დაიწყეს მეტყველება, (იხ. ეტნოგ. განხ. ძველ. და ახალ. კაპ. ან ჭან. მკვიდ. მოსახლეობის დ. ი. ჩუბ.).

გ) „იმავ მარტყოფის წყალს ერთვის ხევი, გამომდინარე ქუხეთის მთიდგან. ამ ხევსა ზედა არს სამხრით ეკკლესია ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდ-შენი, გარ ზღუდეგოდლოსან, მზგავსი ციხისა; კეთილს მშვენიერს ადგილს; აქ დაადგრა 13 მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე; ხოლო თვით მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტო-მყოფი და ან მარტყოფი“ (გეოგრ. ვახ. გვ. 304). როდესაც 13 მამანი ჩამოვიდნენ საქართველოში, წმიდა ანტონი რამდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრა ქრისტიანობის საქადაგებლად. იგი მოვიდა მარტყოფს და აქ გაიკეთა სენაკი და მოღვაწეობდა. იგი იკვებებოდა ირმის რძით და არც არავინ იცოდა, თუ სად იყო ანტონი. ბოლოს მონადირეთ მიაგნეს მას. აწ აქვე ერთსა მთის მწვერვალსა ზედა აღმართულია სვეტი მოსაგონებლად მისის დაყუდებისა. დღესასწაულების სახსენებელი მისი 19 იანვარსა და 16 აგვისტოსა.

დ) დავითი დასახლდა გარეჯის კლდოვან გორაზე, სადაც გამოჰკვეთა მრავალი სენაკები და დააარსა დიდი ლავრა, ისე დიდი, რომ იგი იტევდა 600 მოღვაწეთა. აქვე გამოჩნდნენ მოსასწაულენი, სხვათა შორის, მოწაფენი დავითისა ლუკიანე და დოდო. დღეობა დავითისა არის მეშვიდე კვირას პასექის შემდგომ.

ე) ისე ანუ იასე, რომელსაც მიეცა წილკნის საეპისკოპოსო კათედრა. იგი ახდენდა სასწაულებსაცა; სხვათა შორის, იესეს აწერენ სასწაულებრივ წყლის გაყვანას არაგვიდამ მინდვრების სარწყავად. „ტყელიანიდამ ისო წილკნელმან, 13 მამათაგან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუკოდ წვალი და მოიღო წილკანს და დის დღემდე. დაფლულ არს მუნვე.“

ვ) „შტორის ხევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა ზღუდე-პალატებიანი, გუნბათებიანი: აღაშენა 13 მამათაგანმან წმიდამან იოსებ, და ჰყო მონასტერი წმიდის გიორგისა, და დაფლულ არს მუნვე“ (გეოგრ. ვახ. 318). იოსები მეტად ბეჯითი იყო ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და მან ამის გარდა აღაშენა მრავალი ეკკლესიები კახეთში. წმიდანის დღეობა 14 ენკენისთვეს არის.

ზ) „სარკინეთი არს მცხეთის დასავლით. არიან ქვაბნი გამოკვეთილნი კლდისაგან მრავალნი და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვით-კირისა; არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი, და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხოვრებდა წმიდა შიო 13 მამათაგანი; აწ არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი, სასწაულთ-მოქმედი, რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მხეცნი შეჭმად პირ-უტყვთა მონასტრისასა. არს აქ ეკკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-ნაშენი, ხოლო იტყვიან ძველად, იდგა ხუთი ათასი მონოზონნი ამა ადგილთა შინა“ (გეოგ. ვახუშ. გვ. 212). შიო ახდენდა სასწაულებსა და სცხოვრებდა პირველად მარტოდ მარტო და იკვებებოდა მტრედისაგან მოტანილ საკვებით. მის აღსრულების შემდეგ მისნი ძვალნი ახდენდენ აგრეთვე სასწაულებსა, რის გამო დღეობას (ყველიერის ხუთშაბათსა) მისნი ძვალნი თვითონვე აღმოდიოდენ ხოლმე საფლავიდამ. საქართველოს აოხრების დროს შაჰ აბაზის მხედრებმა წმიდანი ესე ძვალნი წაიღეს

სპარსეთში, რომელიც იმ წელიწადს აოხრებულ იქმნა საშინელი ჭირისაგან და მიზეზად ამისა სცნეს ძვალნი შიოსნი, რომელნიც უკანვე საქართველოში მოიტანეს.

ც) „არს რეხულას აღმოსავლით სამთავისი, ეკკლესია დიდი, გუნბანთიანი, დიდ-შვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქსნისა და რეხულას ხეობისა. ქმნული არს 13 მამათაგანისა Ისიდორესაგან და დაფლული არს იგი მუნვე“ (გეოგ. ვახ. გვ. 242). სამთავისი გორის მაზრ.

თ) „ქასპს ზეით წლევის მთაში არს მონასტერი, მამებას; სტეფან-წმიდისა, Თათესაგან (Თადეოზ) 13 მამათაგანის ქმნული. Დაფლულია წმიდა Თათე მუნ. Იტყვიან ამის ნაწილის აღმოსვლასა, ვითარცა წმიდისა შიოსას“ (გეოგ. ვახუშტისა). მამება გორის მაზრაში.

ი) „ხორნა-ბუჯის ჩრდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმა წმ. სტეფანემ, დიდ-კეთილ-შენი. Დაფლულ არს მუნვე წმ. სტეფანე“ (გვერდ. 310.) ხირსა ქიზიყშია.

კ) „Იყალთოს ხევზედ, კახეთის მთის კალთას, არს Იყალთოს მონასტერი კეთილ-შენი, გუნბათიანი, ქმნული 13 მამათაგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმ. არსენიცა, რომელი იყო ქვეყნით ქახი» (გვ. 318). Იყალთო Თელავის მაზრაში.

ლ) „მტკვრის ჩრდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით,

4) ისიდორესი, თათესი, სტეფანესი, ზენონისა და მიხეილის შესახებ ცნობანი მრავალთა აღრეულობათა, სპარსთა და ოსმალთ შემოსევისა და ქვეყნის ცარცვის დროს დაკარგულან.

არს ბრეთს მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს 13 მამათაგანმა და დაფლულ არს იგიცა მუნვე» (გვ. 260).

მ) მეცამეტე მამა მიხეილი დაესახლა ულუმბოში. „არს ულუმბოს მონასტერი, უგუნბათო, დიდი, დიდ-შენი, მიქელ 13 მამათაგანის ქმნული და დაფლული არს მიქელ მუნვე» (გეოგ. ვახ. გვ. 266).

ამ მოღვაწეთა წყალობით და სხვა ქართველთა მწყემსთა და მეფეთა მეცადინეობით საქართველოში ვერ მოიდგეს ფეხი ვერც შერყეულმა მოგვობამ და ვერც სხვა მწვალებლობამ, რომელიც Იბერიის გარემო ძღებარე ქვეყნებში წარმატებით ერცელდებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც მაგ. სომხეთში, ალბანიაში და სხვაგან. ამ ხანებში საქართველოს კათოლიკოსად აღმორჩეულ იქმნა მეტად განათლებული კაცი კირიონი, რომელმაც სომხეთის ქათოლიკოსის მოსეს წინააღმდეგ იხმარა ყოველი მეცადინეობა და საქართველოში არ შემოუშვა მისი და სომხეთის გარყვნილი ეკლესიის სწავლა. საქართველოში მძლავრმა მწყემსებმა დაუწყეს ბრძოლა აგრეთვე ალბანიის (მლისენი, წუქეთი—საინგილო ანუ ზაქათალის მაზრა და ნუხის მაზრის ნაწილი ქ. ნუხამდის) მწვალებლებსა ანუ მწვალებლობას. ეს მწვალებლობა შეიცავდა შემდეგი სწავლით: არს ორი არსება: ერთი კეთილი, მამა იესო ქრისტესი, დასაბამი ახლის აღთქმისა; მეორე ბოროტი, დასაბამი ძველის აღთქმისა, საუკუნე საუკუნოა; ძემან უფლისამან ხორცნი შეისხნა ცათა შინა; საიდუმლონი ნამეტანი და უჭაზ[illegible]ნი არიან, გარდა ერთისა—ნათლის-ღებისა; ჯოჯოხეთი ცარიელი სიტყვაა და ტყუილია» და სხვა.

ქართველთა მწყემსნი და მეფენი წინ აღუდგნენ ამ სწავლას და ნება არ მისცეს, რომ ფეხი მოედგა ხალხში.

ამ მდგომარეობაში რომ იყო საქართველო, არაბისტანში კიდეც დამკვიდრებულ იყო სწავლა ახალის მოციქულისა—მაჰმადისა, რომელიც ასწავლიდა: „არს ერთი ღმერთი და ყველაზე უდიდესი მოციქული მისი მაჰმადი.“ ესევე მაჰმადი თავისებურად ასწავლიდა სამოთხე-ჯოჯოხეთზედა და ვალად სდებდა ყველა მისთა მორწმუნეთა ბრძოლას წინაამდეგ ქრისტიანეთა, რომელთაც უწოდდა გიაურებად—ბილწებად, ღორებად.

ეს სწავლა მაჰმადისა მალე დროში ზღვასავით გადავიდა მთელს მცირე აზიაში, სპარსეთში, მისირში და სხ. მოედო ქვეყნებს და დაუწყო ბრძოლა ქრისტიანობასაც და მოგვობასაც...

საქართველოც არ ასცდა მაჰმადიანობასთან ბრძოლასა.

730—740 წლებში აბულ-ქაზიმი ანუ მურვან-ყრუ დიდის ჯარით შემოვიდა იმერეთში, დაანგრია ეკკლესიანი, დაჰსწვა და გაოხრა ქალაქ-სოფელნი, აწვალა ხალხი, ბერმონაზონნი, დასწვა მღვდელნი და სხ. მოკლულ და წვალებულ იქმნენ აგრეთვე ორნი ძმანი, თავადნი არგვეთისანი—დავით და კონსტანტინე. გვამნი მათნი ჩაჰყარეს მდინარე რიონში, მაგრამ წყალმა მოიტივტივა და ნაპირას გამოჰყარა და კეთილ-მორწმუნე ქრისტიანეთ იპოვნეს წმიდანი გვამნი მათნი, ჩასდეს ხის კუბოში და დასდვეს შესანიშნავ მოწამეთის მონასტერში. აქვე ასვენია გვამი მათი ეხლაც; დღეობაზე (2 ოკდომბერს) მრავალი მორწმუნენი მიდიან

მოედრებელად მათდა არათუ მარტო იმერეთიდამ, არამედ შორეულ ქვეყნებიდამაც. «აქა (მოწამეთის ხევზე) არს მონასტერი უგუნბათო, შვენიერი, კეთილს ადგილს; სხენან მას ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი დავით და კონსტანტინე, მდებარენი აწცა ხორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ.»

სწორედ ამ დროს სრულიად საქართველოს ანუ ივერიის მეფედ იყვნენ მირი და არჩილი II. მირი მოკვდა და საქართველოს მეფედ დაშთა ძმა მისი არჩილი. **744** წ. არაბნი ჯუმჯუმ აზიმის წინამძღოლობით შემოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქვეყნის გაოხრება და ქრისტიანების წვალება. არჩილი ხალხის სახსნელად თვითონ პირადად წავიდა ჯუმჯუმ აზიმთან და გამოუცხადა სრულიად მორჩილება. აზიმი დასთანხმდა, რომ ხალხს არას ავნებდა, მხოლოდ სთხოვა, მეფეს ელვიარებინა მაჰმადი. არჩილი უარზედ იდგა და ვერა ღონის-ძიებით ვერ დაითანხმეს მეფე შეეცვალა სარწმუნოება, რის გამო იგი აწვალეს და მოკლეს. არჩილი ეკკლესიისაგან შერაცხილ იქმნა წმიდათა შორის; დღეობა **21** ივნისსა. გვამი მეფისა გადმოიტანეს და დაასაფლავეს ს. ნოკორნაში. «ამას ქვეით ერთვის არაგვს ნოკორნის ხევი, გამომდინარ-მომდინარი კეთილ მთისა; ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, დიდი. ეს აღაშენა მეფემან არჩილ და ქმნა მონასტრად; შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ» (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 298).

ქართველთა მეფეთაგან წამებული ქრისტესთვის პირველი იყო მეფე არჩილი II.

თავი X

გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. — იოანე მღვდელ-მონაზონი.—ეფრემ მცირე.—არსენი იყალთოელი.—ტაძარნი: ბედიისა, საფარისა, ქუთაისისა ხახულისა, გელათისა და სხვანი.—სკოლანი.

უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე დაუღალავი მშრომელი გამოჩნდა წმიდა გიორგი, ივერიის მონასტრის არხიმანდრიტი, მღვდელ-მონაზონი ქართლელი, ადგილით თრიალეთით. ამ გიორგიმ შეამსო ნაკლულევანებანი წარსულთა თვისთა მოადგილეთა და ხელოვნურად გადმოსთარგმნა ქართულად: 1, სჳნაქსარი დიდი, საფუძველი ეკკლესიათა; 2, ცხოვრება, გამოკრებული საწელიწადო; 3, პავლე სრული და საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთა; 4, პავლეს გამოკრებული საწელიწადო; 5, თთვენი ათორმეტნივე; 6, სტიქარნი საწელიწადონი... 7, სტიქარნი თვით ავაჯნი... 8, წიგნი ექვსთა დღეთა წმ. ვასილის თქმული; 9, წიგნი ეპისტოლენი წმ. მაკსიმე ღმრთ-შემოსილისანი; 10, წიგნი საფსალმუნე დავითისა, სამკაული და გვირგვინი ყოველთა წიგნთა; 11; დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკკლესიათა, სხვითა მრავლითა კეთილითა აღსავსე; 12, დიდი მარხვანი; 13 ზატიკი მრავალ

ფერითა კეთილითა აღსავსე; 14, წიგნი თეოდორე სტოდელისა, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი; 15, წიგნი დაბადებისა, თარგმანი წმიდა იოანე ოქროპირის თქმული; 16, წიგნი მექვსის კრებისა; 17, ეპისტოლენი წმ. კირილესნი და სხ. წმ. მამათა განკვეთისათვის ნესტორ უსჯულოისა; 18 წიგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა მშვენება და ქება ზესთა არს ყოვლისა მოთხრობისა.

აქვე დაუმატებთ, რომ თუმცა ახალი აღთქმა თარგმნილი იყო მე V საუკუნეში დავით და სტეფანოზის მიერ იერუსალიმში და შემდეგ დედოფალ რუსუდანისთვის სხვაი მცხეთას, მაგრამ მაინც წმ. გიორგიმ ხელ-ახლა შეამოწმა და ხელ-ახლა სთარგმნა სახარება და სამოციქულო, რადგან ეს წიგნები მწვალებლობის ხელ-გავლენით ამ დროს სავსენი იყვნენ შეცდომილებით.

მოგვყავს წმ. გიორგის ანდერძი, რომელიც სწერია ხელ-ნაწერსა სახარებასა გაენათის ტაძრისასა; ეს სახარება თვით წმიდა გიორგისაგან ნაწერია; ანდერძი:

«ესე სასწაულ იყავნ ყოველთა, რამეთუ წმიდა ესე ოთხთავი ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ჩუენთა სულიერთათა და ბერძნულთა სახარებათა და შეკვამოწმებია ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, თუ ამისგან უკუე გინდეთ დაწერა ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა ჰსწერია ეგრე დაჰსწერეთ და თუ სადამე გპოვნდეს ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად ხან-მეტნიცა და საბა წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღმრთისთვის ერთმანეთსა ნუ გაჰქვეთ, ხოლო ლოცვისა გიორგისთვის, რომელმან ესთარგმნე, ლოცვა ყავთ.»

თვისი შრომა გიორგიმ გადმოიღო სამშობლო ქვეყანაში და მეფის ბაგრატ IV-ის მოწვევით ხუთი წელი დაჰყო საქართველოში, სადაც იმ დროს „გარდაიწერნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალი საეკკლესიონი წესნი განმართნა“. სამშობლოდამ დაბრუნებისას გიორგიმ წაიყვანა აღსაზრდელად 80 ობოლი ქართველთ ყრმანი კონსტანტინეპოლეს, შეჰვედრა იგინი ლუკა იმპერატორსა და თვით მეორეს დღეს, შემდეგ იმპერატორის ნახვისა, აღესრულა ქართველთ მეტოქსა შინა ქრისტ. 1066 წელსა. წმ. გვამი მისი წაიღეს ათონს და დაასვენეს იქ, სადაც იდო გვამი წმ. ეფთვიმისა. ხსენება გიორგისა [1]) 27 ივნისს.

გიორგის დროს იყვნენ კიდევ შემდეგი მთარგმნელნი: ილარიონ, გიორგი ოლთისელი, ვასილი ბაგრატის-ძე, არსენი, ანტონი მნათე და სხვანი.

შემდგომად გიორგი მთაწმინდელისა ივერიის მონასტრის სახელოვანნი მოწაფენი და საქართველოს სასიქადულო შვილნი იყვნენ:

ა) იოანე მღვდელ-მონაზონი, ფილოსოფოსი, პეტრიწად წოდებული, ჭირჭიმელი; ამისგან, სხვათა შორის, დაგრჩა სვინაქსარი, რომელშიაც არის გალექსილნი ისტორიანი: დედის-მშობლის შობისათვის, ქრისტეს შობისათვის და სხვ.

---

[1]) ოქრო ქანდაკი, სპეკალი მოიშვილი,
ეპისკოპოსთა დიდება, მღვდელთ პატივი
ამათ მფლობელთად, მახვილ ორ-პირ მკვეთელი,
გიორგი წიგნთა თარგმანი იმთაწმიდების,
მიწას მიწას ჰმართავს, სულსა ასასუფევლებს.

აგრეთვე ამანვე გალექსა იამბიკო წმ. მამის იოანე სინნელის კლემაქსისა.

ბ) ეფრემ მცირე; ამან სთარგმნა ბერძნულიდამ: 1, წიგნი დიონოსი არეოპაგელისა «ზეცისა იერარხიისათვის;» 2, ამმონიოსის წიგნი; 3, მოქცევა საქართველოისა და 4, ქადაგება წმ. მოციქულის თომასი.

გ) არსენი იყალთოელი სხოლასტიკოსი; ამან კახელმა ზედ-მიწევნით იცოდა არაბული, ასირიული და ბერძნული ენანი და იყო დიდად განათლებული კაცი, ფილოსოფოსი; იყო მოძღვრად მეფის დავითისა. კახეთში იყალთოს ჰქონდა სასწავლებელი და ასწავლიდა: ფილოსოფიასა, ღვთის-მეტყველებასა, ენათა და „სხვათა აზნაურთა სასწავლებელთა“. შემდგომად აღსრულებისა ქათოლიკოზისა იოანესი იქმნა ქათოლიკოზად. ჰმარხია იყალთოშივე. არსენმა აღწერა: 1, ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა მცხეთის ქალაქსა განკარგულებითა დავით აღმაშენებელისა; 2, მოთხრობა მიზეზთა, რომელთა გამო განსდგნენ სომეხნი მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისაგან და 3, გადმოსთარგმნა „ოქროს ნეკტარი“ წმ. იოანე დამასკელისა.

და აგრეთვე იოანე ტარიჭის-ძე, სტეფანე, თეოფილე და მრავალნი სხვანი.

უნდა აღვიაროთ ის ფაქტი, რომელ ივერიის მონასტრის დაარსებიდამ საქართველოს ეკკლესია სრულიად განმტკიცდა სჯულსა ზედა მაცხოვრისა ჩვენისა. ხალხში გავრცელებულმა საეკკლესიო და საერო ლიტერატურამ ძლიერად კვალი გაინასკვა საქართველოში და ეს იყო მი-

ზეზი, რომ შემდეგ საუკუნოებში საშინელმა ქრისტეს მტრებმა ვერა ღონის ძიებით ივერიაში ვერ დაამყარეს მაჰმადიანობა.

დიდა-ბოძებად ქრისტეს სჯულისა საქართველოში, ივერიის და იერუსალიმის მონასტრებს გარდა, შეიქმნენ შემდეგნი დიდებულნი ტაძარნი:

ა) ხახულის ღვთის-მშობლისა თორთომის ხევზედ; „შავშაქლეუს მთის კალთას არს ეკკლესია მონასტერი ხახულისა ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერად გებული, შვენიერს კარვს ადგილს; ეს აღაშენა დავით კურაპალატმან ბაგრატ მეფის მამობილმან... აწ უქმ, ცალიერ არიან და ხატი მისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან“ (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 124). ეს ეკკლესია ეხლაც არსებობს და აქვს წარწერანი. აქ ბერად შესდგა გამოჩენილი გიორგი მთაწმიდელი.

ბ) ბედიისა. „აქავ ბედიასა აღაშენა მე 54 მეფემან ბაგრატ ეკკლესია დიდი, დიდ-შვენიერ-გუნბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად; დასვა ეპისკოპოსი ოდიშისა» (გეოგ. ვახუშტ. გვ. 400).

გ) საფარისა. «ცუნქის ხევზედ (საჯავახოში) არს საფარას მონასტერი, შვენიერად დიდ-შენი, გუნბათიანი, ყოვლად წმიდისა. ესე იყო შემკული ყოველთა საეკკლესიოთა და წმ. ნაწილებითა და დაეფლნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ» (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 90) გარეშემო მონასტრისა ეხლა სცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველები და მხოლოდ შიგა და შიგ ქრისტიანენი და ჭყავთ საფარას მღვდელი.

დ) ქუთაისისა. ეს არის დიდებული შენობა, აშენებულია ბაგრატ III-საგან, რომელსაც ცოლად ჰყვანდა

ასული ბიზანტიის იმპერატორის რომანის არგირისა. ტაძრის მშვენიერს შეხედულობას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი. მის კედელზე დაშთენილა ორი წარწერა; ერთი მათგან იხსენიებს ბაგრატ მეფეს და მეორე კი შესანიშნავია მით, რომ შეიცავს არაბულს ციფირებს 223; ამ ციფირების აღმოჩენით, მსწავლულთ ჰგონიათ, რომ ციფირების ხმარება უწინარეს ყოველთა შემოვიდა საქართველოში, რადგან ამ ტაძრის წარწერის გარდა, სხვა წარწერა ციფირებით არსად მოიპოვება, რომ ამაზე უწინარეს დროს ეკუთვნოდეს (იხ. Нумизм. Факты Груз. Царс. ბარათაევისა). ტაძარი წინად იყო საეპისკოპოსო, რომელიც განაგებდა იმერეთსა და გურიასა. ეხლა დანგრეულია.

ე) გელათისა (ანუ გაენათისა), რომელიც ქუთაისს შორავს 6–7 ვერსტით. აშენებულია დავით აღმაშენებელისაგან (1025). შენობა დიდებულია. მისი კედლები აგებულია მსხვილის ქვით. ერთი ქვა (ცხრა ალაბი სიგრძით) დადებულია კედელზედ თვით დავითისაგან. საკურთხეველში ასვენია ხატი ღვთის-მშობლისა, ნაჩუქები იმპერატორის ალექსი კომნენისაგან. აქვე ასვენია ხახულის ღვთის-მშობლის ხატი, ქმნილი წმ. ლუკასაგან და მოკაზმული ძვირფასის ქვებით. აქ იჯდა ეპისკოპოსი—გენათელი, მმართველი ოკრიბისა და არგვეთისა. ესევე შეიქმნა საგვარეულო სავანედ ბაგრატიონთა.

და აგრეთვე ტაძარნი სახსრად წამებულის მსტატესი, დავითის და კონსტანტინესი, მეფე არჩილისა, სასწაულთ-მოქმედისა ილარიონისა, გობრონისა, რომელიც წამებულ იქმნა 920 წელს 17 ნოემბერს. მასთანავე აწამეს 133 მხედარნი ქართველნი, ესენი და ამათთან სხვა ქართველნი მურვან ყრუმ 28

ლის ბრძოლის შემდეგ შეიპყრო ციხე ყველში (სამცხეშია), აწამა და მთელი საქართველო გააოხრა.

უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ყველა ამ მონასტრებთან და სობოროებთან იყო გამართული სკოლები, საცა ასწავლიდნენ ყოველ გვარ მაშინდელ დროის მეცნიერებათა, სამღვთო წერილსა, ღვთის-მეტყველებასა, ბერძნულსა და ასირიულსა ენათა და სხ. მასწავლებელნი ამ სკოლებისათვის ბევრნი გამოდიოდნენ ივერიის მონასტრიდამ, საცა მოღვაწეობდა 500 მეტი ქართველი, აგრეთვე იერუსალიმის მონასტრებიდამ და ზოგიერთ საქართველოს განთქმულ მქადაგებელთა სკოლებიდამ (იგულისხმეთ სკოლა არსენი იყალთოელისა და სხ.); მოზარდ თაობაზე დიდი გავლენა ჰქონდა თავისუფალთა ჰაზრთა და მსჯელობათა შესანიშნავთა ბერძენთა ფილოსოფოსებისა: პლატონისა, არისტოტელისა, პორფირისა, დამასკინისა და სხ. თხზულებების თარგმანთა.

თ ა ვ ი XI

საქართველოს განთავისუფლება სარაცინთაგან.— ჯვაროსნების ომი.—ქართველნი შველიან ჯვაროსანთა.-მოღვაწეობა მეფეთა: ბაგრატ III-სა, ბაგრატ IV-სა და დავით III-სა აღმაშენებელისა.—ქეგლის წერა.

რა იყო მიზეზი, რომ ამ დროებში მე IX—XII საუკ. ასეთი წარმოუდგენელი წყურვილი და ლტოლვა აღეძრა ქართველ ხალხს მეცნიერებისადმი და წარმატებისადმი?

თურქნი, საშინელნი და ულმობელნი მტერნი ქრისტიანთ ერთა, მიილტოდენ ყოველის მხრიდამ იერუსალიმისაკენ დასაცველად პალესტინისა და მოსაგერებლად ჯვაროსნებისა, რომელნიც სცდილობდნენ განეთავისუფლებინათ სარაცინთაგან (თურქ-არაბნი) ყოველი ქრისტიანისთვის ძვირფასი საფლავი იესო ქრისტესი. თითქმის მთელი მეროპა მოასკდა მცირე აზიასა.

ის ადგილი (პალესტინა), საცა დაიბადა, აღიზარდა და იმოქმედა მაცხოვარმა, შეიქმნა ქრისტიანების სალოცავსათაყვანებელ ადგილად. მე VII საუკ. იგი დაიპყრეს არაბთა, რომელნიც არ აბრკოლებდენ ქრისტიანებს წმიდა ადგილების მოლოცვას. მე XI ს. (1072 წ) კი პალესტინა დაიპყრეს თურქთა (სელჯუკთა), რომელითაც წმიდა ადგილებში სალო-